# „ტრავმის კონცეფცია ფსიქოანალიტიკურ და კოგნიტურ-ქცევით თეორიებში: სიმპტომების ფორმირების მექანიზმების შედარება“

ცირა გულუა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქიკური ჯანმრთელობა - ფსიქოლტავმატოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მახაშვილი, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026 წელი

**განაცხადი**

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ცირა გულუა, 2026 წელი.

# აბსტრაქტი

ტრავმის შემდეგომი ინტრუზიები და თავიდან არიდების ფენომენი ხშირად ერთმანეთთან დაკავშირებულად ვლინდება. ტრავმული გამოცდილება უნებლიედ ბრუნდება ინტრუზიული მოგონებების, ფლეშბექების ან სხეულებრივი განცდების სახით, ხოლო ადამიანი ცდილობს, გაერიდოს იმ გარეგან თუ შინაგან ტრიგერებს, რომლებიც ამ გამოცდილებას ახსენებს. ნაშრომის მიზანია გააანალიზოს, როგორ ხსნიან ფსიქოანალიტიკური და კოგნიტურ-ქცევითი თეორიები ამ ორი სიმპტომოკომპლექსის ფორმირებას. ნაშრომი თეორიულ და შედარებით ანალიზს ეფუძნება. ფსიქოანალიტიკური მიმართულებიდან განხილულია ჟანეს, ფროიდის, ფერენცისა და ვინიკოტის შეხედულებები, ხოლო კოგნიტურ-ქცევითი მიმართულებიდან ელერსისა და კლარკის, ფოასა და კოზაკის და ბრიუინის მოდელები. ანალიზი აჩვენებს, რომ ეს ორი ტრადიცია ტრავმას განსხვავებული თეორიული ენით ხსნის, თუმცა ორივე ცდილობს უპასუხოს კითხვას, რატომ ვერ მუშავდება ტრავმული გამოცდილება ჩვეულებრივი მოგონების სახით და რატომ აგრძელებს იგი მოქმედებას სიმპტომის ფორმით.

კოგნიტურ-ქცევითი მოდელები განსაკუთრებით მკაფიოდ აღწერს იმ პროცესებს, რომლებიც სიმპტომის განმეორებას განაპირობებს. მათ შორისაა ტრავმული მეხსიერების თავისებური კოდირება, მინიშნებებით მართული აღდგენა, ნეგატიური შეფასებები და თავიდან არიდების ქცევითი მექანიზმები. ფსიქოანალიტიკური მიდგომა კი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რატომ რჩება ტრავმული გამოცდილება ადამიანისთვის აუტანელი, რატომ ვერ ერთვება, ინტეგრირდება იგი მის ფსიქიკურ ისტორიაში და როგორ ბრუნდება სიმპტომის, განმეორებადი სცენის ან სომატური გამოხატულების სახით.

ნაშრომის ძირითადი დასკვნის მიხედვით, ფსიქოანალიტიკური და კოგნიტურ-ქცევითი ახსნები ერთმანეთს არ გამორიცხავს. კოგნიტურ-ქცევითი მიდგომა უფრო მკაფიოდ ხსნის, როგორ მოქმედებს და მეორდება სიმპტომი. ფსიქოანალიზი კი ამავე სიმპტომის სუბიექტურ მნიშვნელობასა და ფსიქიკურ ისტორიასთან კავშირს წარმოაჩენს. მათი შედარება ტრავმის, ინტრუზიისა და თავიდან არიდების ფორმირების უფრო სრულად გააზრებას უწყობს ხელს.

**საკვანძო სიტყვები** - ტრავმა, ინტრუზია, თავიდან არიდება, ფსიქოანალიზი, კოგნიტურ-ქცევითი თეორია, ტრავმული მეხსიერება, სიმბოლიზაცია.

## Abstract

After trauma, intrusion and avoidance phenomena often manifest as interconnected phenomena. Traumatic experience returns involuntarily in the form of memories, flashbacks, or bodily sensations, while the subject attempts to avoid the external or internal cues that recall this experience. The aim of this thesis is to analyze how psychoanalytic and cognitive-behavioral theories explain the formation of these two symptoms.

The thesis is based on theoretical and comparative analysis. From the psychoanalytic tradition, it examines the views of Janet, Freud, Ferenczi, and Winnicott; from the cognitive-behavioral tradition, it discusses the models of Ehlers and Clark, Foa and Kozak, and Brewin. The analysis shows that these two traditions explain trauma in different theoretical languages, yet both seek to answer why traumatic experience cannot be processed as an ordinary memory and why it continues to operate in the form of symptoms.

Cognitive-behavioral models describe especially clearly the processes that contribute to the recurrence of symptoms. These include the distinctive encoding of traumatic memory, cue-driven retrieval, negative appraisals, and behavioral mechanisms of avoidance. The psychoanalytic approach, in turn, focuses on why traumatic experience remains unbearable for the subject, why it cannot be integrated into the subject's psychic history, and how it returns in the form of a symptom, a repeated scene, or somatic expression.

According to the main conclusion of the thesis, psychoanalytic and cognitive-behavioral explanations do not exclude one another. The cognitive-behavioral approach explains more clearly how the symptom operates and recurs. Psychoanalysis, however, brings out the subjective meaning of the same symptom and its connection to psychic history. Their comparison contributes to a more complete understanding of the formation of trauma, intrusion, and avoidance.

Keywords - trauma, intrusion, avoidance, psychoanalysis, cognitive-behavioral theory, traumatic memory, symbolization.